

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელოქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელოქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებებისა: დღე ასობით ასობე—1 კაპ., ასობით ასობით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

სალკა ნომერი ღირს შაშრათი

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდან ვიდრე 1878

წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელოქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дროება“.

უმორჩილესად ვითხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მოწერა ანუ ანგარიში უკარ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც უმიძღვება მალე გაასწორონ ანგარიში და ხვედრი უფლი გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

ფულტონი

დაპირილი ნაამბობი

მ. იასხე ბურიელის დრუჟინაში ემსახურებდი, რომელიც შობულეთის ატრიადში ირიცხებოდა.

ჩვენი დრუჟინა ერია ყველა იმ შეტაკებებში, რომელიც კი ამ ომის დაწყებამდე ხდებოდა ჩვენს ბურიის სამხედვარზე და განსაკუთრებით სიხის-ძირთან.

11 ივნისს, მდინარე პინტრიშის ვალდით, სოფ. ძვირიკესთან ისეთი ბრძოლა გვექონდა, რომლის მსგავსი მე არც ჩემ სიცოცხლეში მინახავს და არც ძველი კაცებისაგან გამიგონია. არათუ თოფის სროლას, ზარბაზნის სროლასაც კი ვერ დაითვლიდა კარგი მოანგარიშე კაცი. შუშბარები და ტყვიები ყოველის მხრით სეტყვა-წვიმასავით სცივოდა და უანგარიშოთ იხოცებოდა ხალხი. ბევრმა კი ბიჭმა დალია აქ სული, ბევრი მარჯვე

ტელეგრაფები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდან

ქუჩუკ-დარა, 16 ივლისს. ღღეს ლენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი ქვევითა ჯარის ბრიგადით, ხუთი პოლკით ცხენოსანი ჯარით და 24 ზარბაზნით გამოვიდა შურუქ-ღარიდან იმ განზრახვით, რომ მიზინკევისაკენ დათვალეიროს მტრის ბანაკის ახლო-მახლო ადგილები. დათვალეიერეს მტრის გამაგრებული ადგილები ალაჯა-ღალიდან მიზინკევამდე. ღიდ-იანის მთასთანა ცხენოსანს ჯარსა და არტილერიას შეტაკება ჰქონდა ოსმალოს ჯართან; მაგრამ, როცა ბრძოლაში ჩვენი ქვევითა ჯარიც ჩაერია, მტერი აღარ წამოვიდა წინ და ისევ თავის გამაგრებულ ადგილებში დაბრუნდა. საღამოს ჩვენი ჯარიც შურუქ-ღარაში დაბრუნდა.

მეომარი გამოეთხოვა აქ წუთი-სოფელს. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო“, უთქვამს ჩვენ დიდებულ პოეტს რუსთაველს; მაგრამ, საუბედუროა, ამ შემთხვევაში მე ისეთი მეომრებიცა ვნახე, რომელნიც შიშისაგან ფეხ-მიხდილი, თვალეზ-აბეცებული, ხელ-ფეხ-აკანკალეებული მიზბოდნენ ბრძოლის ველიდან; მიზბოდნენ და არ იცოდნენ კი—სად და ვისთან? ზოგნი მომეტებულის შიშისა და მღელვარებისაგან ფოთოლისავეთ კანკალეებდნენ, ბავშვსავით ბლაოდნენ, აფქვევდნენ დაფეთებული თვალეზიდან ცრემლსა და ვისაც არ შეხვდებოდნენ, შეევიროდნენ:

— ბვიშველეთ ვინ ხართ, ქრისტიანი! მოგვაშორეთ ამ საშინელ ცეცხლსა და რა გინდათ, წაიღეთ!

წარმოიდგინეთ—რა ზედ-მოქმედება უნდა ჰქონოდა ჩვენზე, უბრალო მეომრებზე, ამ დროს ამისთანა სურათის და ნახვას და ამგვარი სიტყვების გაგონების

ამ შეტაკების დროს ჩვენი მხრით მოკლულია ლდესტნის პოლკის ასისტავი; ამას გარდა ოთხი აფიცერია დაჭრილი: დრაგუნები: მაიორი ბოპპე და პარუჩ. ქუდინეტოვი, თუშების სოტნის კამანდირი ნათიევი და თფილისის აზნაურთა დრუჟინის პორუჩიკი თ. ანდრონიკოვი (სამი უკანასკნელი მსუბუქათ).

სტამბოლი, 16 ივლისს. ბრიტანიის ფლოტი გამოვიდა ბეზიყის ნავსადგურიდან; არ იციან კი—სად წავიდა.

პარიში, 15 ივლისს. გაზეთი „Memoirial Diplomatique“ ამბობს, რომ სულთანს ჰაზრათაც არა აქვსო, რომ რუსეთის იმპერატორთან მოკრიგების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყოს; პირიქით იმას აქვსო განზრახვა, რომ გამოიტანოს მაჰმადის დროშა, თუ ვინიცობაა რუსებმა ადრიაპოლი აიღესო.

ავსტრიასა და ოსმალებს შუა ჩინე-

განსაკუთრები თ ისეთის პირებისაგან, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ, რომ თავის მაგალითითა და მხნეობით გავემხნევენინეთ ჩვენცა!...

მადლობა ღმერთს, არცერთი ჩვენი ქართველ ბიჭებთაგანი ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაში არ მინახავს...

მაგრამ დავანებებ თავს ამ ცუდ მოგონებასა და პირ-და-პირ ჩემი დაჭრილობის ამბავს მოგიყვებით:

ჯერ ჩვენ შუა ბრძოლაშიაც არ ვიყავით. ჩვენი ბიჭები თან-და-თან ხურდებოდნენ. რაც უფრო ხშირდებოდა ტყვიაცუმბარა, ისე უფრო ალი ედებათ ამათა და უფროსები ვეღარ აჩერებდნენ: სულ წინ წაწევა, მტერთან პირ-და-პირ, ხელ-და-ხელ შეტაკება, ჩართული ბრძოლა ემუყრებოდათ.

ამ დროს ერთი დაწყებული, გიჟი ყუმბარა ჩემი ცხენის მუცელ შუა დაეცა.

თუმცა ყმაწვილი ვარ და ჩემს ტულ-

ბული განწყობილება. მსმალეთის მმართველობა იმ პირობით აძლევს ინგლისს ბალკანეთის კუნძულის დაჭერის ნებას, თუ ჯერ ის (ინგლისი) რუსეთს ომს გამოუცხადებს.

მენა, 16 ივლისს. წუხელ საღამოს მოვიდა აქ მიტხად-ფაშა, რომელიც აქედამ პირ-და-პირ სტამბოლს მიდის; იმას ჰქონდა მოლაპარაკება აქაურ მსმალეთის ელჩთან პენი-ფაშასთან.

მენა, 17 ივლისს. სულთანს ჯერ კიდევ არ მოუხდენია განკარგულება მიტხად ფაშის დაბრუნების თაობაზე; ის ჯერ კიდევ აქ არის (მენაში).

ბუხარესტი, 17 ივლისს. რუმინის მეოთხე დივიზია ლენერალ მანუს წინამძღოლობით გადავიდა ლუნაისედ, რომ ნიკოპოლში გარნიზონად დადგეს.

ოქის აზვები

მასწავლის ბრძოლის ველიდან

„მოკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია მენიდან 11 ივლისს მიღებული დებეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშა თან-და-თან წინ, რუსეთის სამხლერისაკენ სწევს თავის ჯარსაო. მსმალეებმა ხელ-ახლად გამართეს შარსიდან ტელეგრაფი, რომელიც რუსების ჯარისაგან იყო გაფუჭებულიო.

ამას წინაა ზოგიერთს ინგლისურს

ამხანაგებში ფეხ-მიძივე კაცად არ მიტნობენ, მაგრამ მოშორება, გაქცევა ამ ყუმბარადამ მაინც ვერ მოვასწარ: დაეცათუარა ი ჩემი ცოდვით სავსე, იმ წამს-ღვი ვასკდა...

ის კი მახსოვს, რომ ერთი რაღაც სადაველი ხმა მომესმა ყუმბარის გახეთქისა და უეცრივე ცეცხლი შემომედეგა წელს ქვევით. შრთიც დაფიყვირე:

— აბა ბიჭებო, მიშველეთ, მტერს ნუ მიმკცემთ!

და მერე რა მოხდა, აღარა ვიცი რა, როგორც შემდეგ მიახმეს, ჩემი ცხენი დამ გადმოვარდნა ერთს ჩემ ამხანაგს უნახავს, რომელიც მე ყველაზედ უკანასკნელად მიმაჩნდა; მოვარდნილა საჩქაროთ, აუკიდებვიარ ზურგზედ და წაუყვანივიარ იქ, საცა ორიც სხვა ყოფილა დაჭრილი, და ერთ ხის უკან დაუფლივიარ.

აქ მოვედი მე გონზე, ერთის საათის უკან. ღმერთო ჩემო, რა საშინელი, რა გულ-შემაზარელი სროლა და ხმაურო-

გახეთებში იწერებოდნენ, ვითომც რუსეთის სამხედრო მთავრობას მცირე-პირობით 2,000 მანეთი ჯილდოთ დაენიშნოს იმისთვის, ვინც მსმალს არმიასი მყოფ ინგლისის ლენერალ ძემშელს ცოცხალს ან მკედარს წარმოადგენსო. ამ საგნის თაობაზე ინგლისის პარლამენტში მოლაპარაკება ყოფილა და ერთს მინისტრს უთქვამს, რომ ეს ამბავი ჯერჯერობით ინგლისის მმართველობის ყურამდინ არ მისულაო.

მეორე მინისტრს ამავე პარლამენტში უთქვამს, რომ არზრუმელი ელჩი ბრიტანიისა იწერებოა, რომ მსმალს ჯარი და განსაკუთრებით ქურთები დიდ ბარბაროსობას ჩადიან სომხეთშიო და ბრიტანიის სტამბოლელ ელჩს მიწერილობა გაუგზავნეთო, რომ ამ საგნის შესახებ მოილაპარაკოს მსმალეთის მმართველობასთანაო.

მიზინკევის მსმალს ბანაკიდან, რომელიც შარსიდან მოშორებით 10 ვერსზედ არის, სპეციალური კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა იწერება შემდეგ ტელეგრაფშია:

„ღეს, 1 ივლისს, მუხთარ-ფაშა ავბარგა თავის ჯარით მახან-კალედამ იმ განზრახვით, რომ კიდევ უფრო მიუახლოედეს რუსებს, რომელიც შარსის ჩრდილოეთით არიან დაბანაკებულნი პლაქანდრაპოლის გზაზედ. მე შევიტყვე, რომ ხვალ იმათ განზრახვა აქეთ, რომ მურუქ-ღარის გახველით ალექსანდრაპოლისაკენ დაიწიონ. (მკითხველმა იცის, რომ ეს შეცდომილი ცნობაა: ჩვენი იქაური არმიის უმთავრესი ძალა ჯერაც მურუქ-ღარაში იმყოფება).

ბაა! რა კომლი, რა ბული სდგას იმ კლაგს, საცა იბრძვიან, საცა ვინ იცის—რამდენს ბოლო ეღება ამ ჟამად, რამდენი მარჯვე ბიჭი ეთხოვება ისე ამ სიცოცხლეს, რომ იმის გემებაც ვერ მოუხერხებია!... რამდენი საქმრო, რამდენი ახალგაზდა ცოლის ქმარი, რამდენი ცოლშვილის პატრონი გაემგზავრებიან ამ წუთას იქ, „საიდამაც აღარავინ ბრუნდება!“ ამ გვარ ფიქრებმა ელვასავით ვამიარეს თავში, როცა გონზე მოვედი. მაგრამ იმ წამსვე ჩემმა დაჭრილობამ მომაგონა თავი და მხოლოთ ვხლა ვიგრძენ ნამდვილი სიმწუხარე და გემო ამ დაჭრილობისა...

ხალხი ბლომათ დარბოდა აქეთ-იქით. იმათ ვსთხოვე წავეყვანეთ იქ, საცა სხვა დაჭრილებიც იყვნენ, რადგან აქ კიდევ მოგვიწევდა თათრების ყუმბარა; რამდენიმე მადლიანი კაცი გაგვიჩნდა, მოგვიკიდეს ხელი, რადგან ტანტრევიანები არ მოიძიებოდა, და წაგვათრიეს. ჩემ მტერს

„აქ დაბანაკებული მსმალს ჯარი ძალიან კარგ მდგომარეობაშია, ვაწმინდლად არიან და მხნეველია, უკანასკნელ დროს გამარჯვებამ ძალიან გაამხნევა ესენი.

ახალი ჯარები, სურსათი და სამხედრო მასალები (ტყვია-წამალი და სხვ.) გვეჭირება და ყოველ დღესაც მოგვდის არზრუმშიდამ.

ლენერალი ტერ-ლუკასოვი გადავიდა სამხლერზე და ამ ჟამად იგდირშია თავის ჯარებით დაბანაკებული. რეის-ახმედ-ფაშა, რომელიც იმას მისდევს, როგორც ამბობენ, დღეს მუსსინში იმყოფება.

„ბირშის აგენტობაში“ შემდეგი ამბავია დაბეჭდილი შოთილდამ ივლისის 7-ს გაგზავნილი:

ლენერალის აღზარვის ატრიალი (მგურის ატრიალი) ამ ჟამად შაქვეშაში არის დაბანაკებული. აქაური კავალერიის უფროსად დანიშნულია პოდპოლკოვნიკი თ. შარვაშიძე.

ამას წინათ ლენერალ აღზარვთან აფხაზების დეპუტაცია ყოფილა, რომელსაც აჯანყებული აფხაზების სახელობით გამოუცხადებია, რომ თოფ-იარაღს დაეყრიოთ, თუ ხელს არ გვახლებთ, გვაპატიებთ და აქ დასახლების უფლებას მოგვცემთო. ამ გვარ დეპუტაციებს არავითარი მნიშვნელობა არ მიეწერება, რადგან ყველამ იცის, რომ იგივე აფხაზები ამავე დროს ოსმალებს უგზავნიან კაცებს და სთხოვენ, რომ თოფ-იარაღი და სურსათი მოგვაწოდოთ ბლომათ, რომ რუსებს ვეომოთ და იმათგან განეთავისუფლოდეთო.“

სტამბოლიდან იწერებიან, რომ ამას წინათ არტანში მყოფის ჰასან-ფაში-

ნუ გამოაცდევინოს ღმერთმა იმდენი მწუხარება, რაც ამ თრევის დროს გავსწიე...

ჩვენს უფროსთან მიგვიყვანეს. ძხლა იმას შევეხვეწე, რომ დაჭრილების ბანაკში გავეგზავნე, მაგრამ ამან ზედაც არ შემოგვხედა.

— ნეტავი ჩემ თავს მოუარო, არათუ შენაო! გვითხრა.

ამ გვარი სიტყვების გაგონებამ გული შემიმძირა. მაჯავრებულ მამაკვლემა ერთი ნალვლიანათ შევხედე და უთხარი:

— ნეტავი იმას, ვისაც გაჭირებაში შენისთანა უფროსი და პატრონი ჰყავს-მეთქი!

და ჩაჩუმდი; გულში კი ვამბობდი: — ზუსტად ამ დროს რო ვიყავ, ისე ვიყო ახლაც, მაშინ მე გიჩვენებდი შენი თავის მოკლას და იმ მდგომარეობას, რომელშიაც მე ვარ-მეთქი!

ისევ იმათ მიუბრუნდი, ვინც აქ მომიყვანეს, და ვსთხოვე: — მინტროშის პირს

სათვის, რომელიც მსუბუქად დაჭრილი იყო და ახლა მორჩენილა, მსმალოს მთავრობას მიუხედავად, სხვათა შორის, რომ სტამბოლში ექვსი ახალი ბატალიონი მოკრიბოს ვოლონტერებისა და ისევ მცირე აზიისაკენ დაბრუნდეს. ამ ექვს ბატალიონს გარდა, ჰასან-ფაშას მისცეს კიდევ სამი ათასი ახლად მოკრიბილი ჯარი და ამ მოკლე ხანში ამ ჯარით უნდა წამოვიდეს. ამბობენ, იმას მინდობილი, აქვს, რომ არტაანი დაიხსნას რუსის ჯარისაგან.

მმროპის ბრძოლის ველიდან

ნემეცური ვაზეთი „Sonntags-Zeitung“ გვაცნობებს დიდად საყურადღებო ამბავს და თუ ეს გამართლდა, შესაძლებელია, რომ ამ რუს-ოსმალის ბრძოლაში უფრო დიდი სივრცე მიიღოს:

ეს ვაზეთი ამბობს სახელდობრ, რომ ვითომც ინგლისის მმართველობამ თავის სტამბოლელ ელჩს ლეიარდს მისწერა, რომ როგორც რუსის ჯარი აღრიანოპოლს აიღებს, იმ წამსვე განკარგულდება მოახდინებ, რომ ინგლისის მთელი ფლოტი, რომელიც ამ ქამად ბეზიყის ნავსადგურში დგას, პირ-და-პირ სტამბოლს მიადგეს.

შეითხველს ეხსომება რუსეთის იმპერატორის სიტყვა, რომელიც არა-ერთხელ სთქვა იმან: რომ ჩვენ შევალთ სტამბოლში, თუცა იმის დასაპყრობად კი არა, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენს პირობებზე უფრო ადვილად მოვაწვრინოთ მსმალეთს ხელიო. და ახლა თქვენ თვითონ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ—თუ როგორ დაიხლოვდება საქმეები და

რა მოხდება, თუ, როცა რუსის ჯარი სტამბოლში შესვლას განიზრახავს, მაშინ ინგლისის ფლოტი და ჯარები დაუხვდა იმას სტამბოლში ან იმის კარგებთან...

ბუხარესტიდან ერთს რუსულ ვაზეთში იწერებიან, რომ 11 ივლისს რუსის ბატარეებიდან, ლენის მარცხენა მხრიდან ხელ-ახლად დაუწყეს რუსიუკს ყუმბარების სროლაო. მთელი ეს ქალაქი თითქმის სრულდებით დაქცეული არის ამ ქამად რუსების ზარბაზნებისაგანო, იწერება კორესპონდენტი, მაგრამ რუსების განზრახვა ის არისო, რომ აქ დაბანაკებული მსმალოს ჯარი გააქციოს რუს-ჩუკიდანო. მაგრამ მსმალოები აქეთ-კენ კი ჯერ მარჯვენდ არიანო; რუსიუკის მახლობლადაც ბევრია მსმალოს ჯარიო და ამ მოკლე ხანში აქ შეტაკებას მოელიანო.

„ზირშის სააგენტო“ გვაცნობებს ბუხარესტიდან, 7 ივლისს, რომ ლენერალი ციმერმანი თავისი ჯარით მოდის სილისტრიაში, ხაცა დაიწია მსმალოს ჯარმა, რომელიც იდგა ლობრუჯაშიო. მოწინავე ჯარმა ლენ. პრიდენისა, დაჭირა ლომ-პალანკა. რუსის კორპუსს, რომელიც იყო დანიშნული სილისტრიის გარ-შემოსარტყმელათ, ახალი ჯარები მიემატაო. ქაეშირი შემლას და იამბოლის შუა შეწყვეტილიაო.

8 ივლისს სწერენ ვენის ვაზეთში „Deutsche Zeitung“-ში, რომ რუსები მიდიან

მაინც მომიყვანეთ, მაღლია-მეთქი. ლმერთმა სამაგიერო გადაუხადოს: მიმართის და დამადღეს ერთ ბუჩქის ძირში. სალდათებსაც იქითკენ მიჰყავდათ თავიანთი დაჭრილი და დახოცილი ამხანაგები. რამდენიმე საათის აქ გდების შემდეგ, ჩვენ ყველანი დაგვდევს ტახტრევენებზე და წაგვიყვანეს დაჭრილების ბანაკში.

ამისთანა საცოდავი და გულის შემავიწროებელი სანახაობა ჩემ დღე არ მინახავს. საბრალოები, რამდენი ჰყრიან! ზოგს ხელი არა აქვს, ზოგს ფეხი, ზოგისთვის იმ ოხერ ყუმბარას გვერდში გაუვლია და ცალი მხარი სულ აუგლეჯია, ზოგს მხარში აქვს ხმალი დაკრული, ზოგს გულზე მიუდვია ხელი, ალბათ ტყვია აქვს მოხვედრილი. ამათი მწუხარების სახის გამომეტყველება, ამათი საშინელი, წარმოუდგენელი ოხერა და ღრიალი ქვას ცრემლს ადენდა.

მხელია ადამიანის მწუხარების ნახეა!

მაგრამ, როცა შენ თვითონ ამ გვარივე ალი გეწავს, შენ ერთი-ორად უფრო ცხოველად, უფრო კარგათ გრძნობ ხოლმე სხვის მწუხარებასა და სატყვიარს...

„წითელ-ჯვრიანებმა“ გვიჭირისუფლეს. ამათ მოვლის წყალობით ბევრს, და ამათ შორის მეც, ღდეს სული გვიდგია.

როცა დამაწვინეს და ექიმი მოვიდა, გადამხადა საბანი და ვნახე ჩემი დაჭრილობა. მართალი გითხრათ, ამ დაჭრილობის ნახვა მე როგორღაც არ მექაშინიკა: მარჯვენა ფეხი, მუხლს ქვემოთ, სულობით უფრძნობილი მქონდა; მუხლის პატარა ძვლები დამტყრულიყო; ხორცი შემოვგლიჯა და შეორე მუხლზედაც ხორცი სულ დამწვარი, გაშაფებული და ალაგ-ალაგ გამოგლეჯილი მქონდა იმ წყვეულ ყუმბარისაგან.

ზამბანეს, მქიმა დამადვა რაღაც წამალი და შემიკრეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემიანები

მეჯიდიდამ ზარნაზეო, ლონდონიდან სწერენ „მელის ზაზეთში“ რუსების ჯარი 50,000 კაცი დაიწყო მსმალეთს მიდინა, რომ გარს-შემოკრტყან და დაუშალონ მსმალებს ნიშის და სოფის გამაგრებაო; რუმინის ჯარები ძალაჭატიდამ მიიღებენ მონაწილეობას ამ მიდინის გარს-შემოკრტყმაშიო.

სტამბოლიდან სწერენ ინგლისურ ვაზეთში „Daily News“-ში, 6 ივლისიდან, რომ მთელ ქვეყნის ოსმალელებში შეუდგენიათ ხელის-მოწერა დაჭრილების სასარგებლოთ. მართი რუსის მღვდელია დატუსაღებული იმიტომ, რომ ავრცელებდაო სულს ხმებს ბოლგარიელებს შუა და აჯანყებდა იმათაო; ის იქნება დასჯილი სამხედრო სამართლითაო.

საქართველო

დღიური

* * * * * ჰევმო მოყვანილი ანგარიში გიჩვენებს—თუ რა ზედ-მოქმედება ჰქონია ამ ომიანობას ჩვენის მხრის ვაჭრობაზედ:

შარშან, იენისის თვის განმავლობაში, შოთის დამოქნის საშუალებით სამხლვარ გარეთიდან შემოატანიათ 113,341 მანეთისა და 95 კაპეიკის საქონელი; წელს ამავე თვეში კი მხოლოდ 15,789 მანეთის საქონელი შემოატანილა; შარშან ამ თვეში 215 ცეცხლის-გემი მომდარა შოთის ნავსადგურში, წელს არც ერთი.

შაუტანიათ სამხლვარ გარეთ: შარშან იენისში 545,958 მანეთის საქონელი, წელს არცერთი კაპეიკის.


მოვიდნენ და მსურგეთს წამომიყვანეს. იქ დარჩენა მეშინოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ ექიმები, ორივეს თუარა, ერთს ფეხს მაინც მომჭრიდნენ.“

მურმანიძეს უნდა ეწაშლა ჩემთვის; ერთხელ კი მოვიდა, მნახა; მაგრამ ალბათ იფიქრა, რომ ეს მაინც არ მორჩებაო, მოკვდებაო და მერე აღარ უნახივარ. ახლა ერთი ჩვენებური ექიმი პრობელიძე მწამლობს, და თუმცა იმედი კი არა მაქვს, რომ მოვრჩე, მაგრამ იმით ვნუგეშობ, რომ სიცოცხლისათვის ორივე ფეხის მოჭრა დამჭირდება და ამისთანა სიცოცხლეს ისევ სიკვდილი მიჩვენებია...

დავილაღე, იარები მაწუხებენ, მეტს ვერასა გწერთ ამ ჯერობით...

ბ. ნ.—შვილი

მსურგეთი, 12 ივლისს



* მართლიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქითკენ სოფლებში ერთობ გავრცელებულა საქონლის ავთამყოფობა, სახელად თურქულა. ეს ავთამყოფობა ამ დროს ჩვენი გლეხებისათვის, დამღუპავი არისო გვეწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი, რადგან ახლა ყველაზე უფრო ეჭირებათ გლეხებს საქონელიო. ამ ავთამყოფობას ხალხი გვალვას და ხანგრძლივ უწყიმობას აბრალებსო თურმე.

* ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში 1—5 რვეულები „რუსის ზეოგრაფიულ საზოგადოების თავკასიის ბანყოფილების წერილებისა“, რომელშიაც, სხვა და სხვა საინტერესო სტატიებს გარდა, დაბეჭდილია მოკლე შენიშვნა, რომ პეტერბურლის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებელი უფ. პ. საგარელი გამოგზავნილია ამ ქამად თავკასიაში იმ განზრახვით, რომ ეტნოგრაფიული და ლინგვისტიური გამოკვლევები მოახდინოს საქართველოში. ამბობენ, რომ ამ ზაფხულს უფ. საგარელი სამეგრელოში წასულა მეგრული ენის გამოსაკვლევლად და გასაცნობად.

სხვა-და-სხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შორის, ამ საზოგადოების გამოცემაში მოყვანილია უფ. დ. ბაქრაძის შრომა: „ჩურუქსუ, აქარა და ბურია“, რომელშიაც ეს ქვეყნები ეტნოგრაფიულად და არხეოლოგიურად არიან აღწერილი; ეს უფ. დ. ბაქრაძის შრომა ამ ქამად ს. პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიის წერილებში იბეჭდება და შეადგენს 30-მდი ბეჭდვის თაბახს.

აქვე ნათქვამია რამდენიმე სიტყვა უშიკაშვილზედ, რომელიც „დაულალავად და გულისმოდინეთ აგროვებსო 1859

წლიდამ დაწყობილი სახალხო სიმღერებს, ლექსებს, გამოცანებს, ზღაპრებს“ და სხვ.

განსხვავებული

კამკასიის აქეთა მხრის

საბეზო

ინსტიტუტისაგან

ვისაც ამ ინსტიტუტში, ბებიობის სასწავლებელად, შესვლა სურს, თხოვნა უნდა შეიტანოს მედიცინის ნაწილის სამოქალაქო უწყების მმართველის სახელობაზედ (საპიორის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკოვის სახლებში).

ვისაც ინსტიტუტის უმაღლესს კურსში შედის და სურს, რომ მიიღოს დიპლომი, რომელიც ქალაქის სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებისა და ქალაქისა და უეზდის ბებიის თანამდებობის მიღების უფლებასა, იმან უნდა იცოდეს: რუსული უნიდამ: მართლწერა და კითხვა, რუსულად დაწერა და თქმა წაკითხულისა; ა რ ი თ მ ე ტ ი კ ი დ ა მ ოთხი ართმეტიკული მოქმედება და დროებები

ვისაც ინსტიტუტის მ და ბ ა ლ კ ლ ა ს უ ი შესვლა სურს და მიღება სოფლის ბებიის ექიმისა, იმან უნდა იცოდეს მხოლოდ რუსული წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა.

ინსტიტუტში შესვლის მსურველი ქალი უნდა იყოს არა უმცირესი 16 წლისა და არა უხნესი 30 წლისა.

თხოვნასთან უნდა იყოს: მეტრიკული მოწმობა დაბადებისა, მონათელისა და

ნებათვა მშობლებისა ანუ ქმრისა (თუ ქმრინია), რომ არ უწყობდეს ინსტიტუტში შესვლის.

ფასი სწავლისათვის: მომსვლელი ქალებისათვის 40 მან. წელიწადში, პანსიონერებისათვის, რომელნიც ინსტიტუტის ხარჯით იქნებიან და იქვე-იცხოვრებენ, წელიწადში—240 მან. და ამას გარდა შესვლისა თანავე პირველ-გასაწყობად—60 მან.

სწავლის ფასი იმ თავათვე უნდა იქნეს შეტანილი და უკან იღარ დაუბრუნდება მაგირდს, წლის შესრულებამდინაც რომ გამოვიდეს ინსტიტუტიდამ.

შესასვლელი ე გ ზ ა მ ე ნ ე ბ ი ი წ ყ ე ბ ა 16 აგვისტოს და თხოვნის შემოტანა, მიღების თაობაზე, ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდან.

(3—1)

ქილია და მანა,

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე ვახტანგისაგან და გალექსილი საბა სულხან ორბელიანისაგან. სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. შასის გაგება შეიძლება მქეთიმე ხელაძის სტამბაში.

(3—3)

პარიჟელ ახალგაზდა ქალს მსურს აძლიოს უროკები ფრანცუზულის ენის გრამმატიკისა და ლაპარაკისა.

მსურველს ადრესის შეტყობა შეუძლიან „დროების რედაქციაში“, აგრეთვე ქოჯორში, ბელოევის სახლებში, საცა ლენერალის მორენცის ოჯახობა დგას.

რპ. მზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ბელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა		პეტერბურგი, 15 ივლისს		თფილისი, 18 ივლისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	მართი მანეთი ღირს:		შვე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 20
ზორი	11 58	9 43	40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შვეილი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57	92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 262 სანტიმი.	81	ჭერი ფუთი.	70
სურამი	1 44		42	2 46	პეტერბურგს, პარშავას	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	ბამბა მრეენისა, ფუთი.	7
შვირილა	5 49		5	81 3 23	მსხალეთში, შევიცარიში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6	75 3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებნიანი(პირველისესხი)	207	ბაპენტილი ბამბა ფთ.	7 80
სამტრედია	7 41		7	73 4 29	ინვლისში	3 75	მოგებნიანი (მეორე ესხი)	207 50	მატყული თუშური ფთ.	6
ახ.-სენაკი	—		8	57 4 76	ფოფთა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა, ფთ.	3 80
შოთი	9 40		9	75 5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		თფილ. სააზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2 20
შოთი	9 13		1	118 - 66	კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5 1/2)	83	ჭონი, ფუთი.	5 50
ახ.-სენაკი	—		2	6 1 14	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ტახეთს—სამშ. და შაბ.		მოსკოვის (5%)	90 50	ჭონის სანთელი ფუთი.	6 20
სამტრედია	11 16		3	4 1 69	ბ) ჭუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		აკციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12
რიონი	12 13		3	98 2 21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		მ.დესის სავაჭრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
შვირილა	1 18	ლაშე	3	98 2 21	ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვისა, ლიტრაჲ	54
სურამი	5 12		1	10 5 33 2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39		1	37 5 84 3 24	ლია წიგნის	4	ტავკაზის და შერკურის.	203	შაქარი, ბროც. ფუთი	7 80
ზორი	7 5		4	87 36 4 9	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	პირგ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფხვნილი ფუთი	7 50
მცხეთა	8 50		6	59 9 8 5 4			პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრგვალი, ფუთი	25
თფილისი	9 31		7	56 9 75 5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ხეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9